

ზღაპრის ეკრანული ინტერპრეტაციის სპეციფიკა

Specifics of Film Interpretations of the Fairy Tales

ზღაპრის ინტერპრეტაცია - როგორც ხალხური, ასევე ლიტერატურული ზღაპრების - იმ ინტერდისციპლინურ საკითხთაგანია, რომელიც გარდა ფილოლოგიური და ფოლკლორისტული კვლევისა, ინტერმედიალური ასპექტების გაშუქებასაც ითხოვს. ხალხური ზღაპრის შესწავლისას გასათვალისწინებელია მათი მუსიკალური, სასცენო და ლიტერატურული ადაპტაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტრადიციულ სიტყვიერების გააზრებაზე მსმენელისა და მკითხველის მიერ.¹ ზღაპრის ინტერმედიალური შესწავლა მოიცავს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ფართო სპექტრს. ზღაპრის ტექსტობრივი კომპონენტი შეიძლება ჰქონდეს მიუზიკლს, ანიმაციას, ოპერას, ბალეტს, პანტომიმას, თოჯინურ სპექტაკლს და სხვა სასცენო და ვიზუალური ხელოვნების ფორმებს. ზღაპარი შეიძლება გამოჩნდეს სრულფასოვანი ნარატიული ფორმითაც და ფრაგმენტულადაც, როგორც მოტივი, ალუზია, ინტერტექსტი და სხვა.

ტერმინები „ხალხური ზღაპარი“ და „ზღაპარი“ ხშირად გამოიყენება, როგორც ერთმანეთისგან განსხვავებული თხრობითი და ლიტერატურული ჟანრი:

¹ ნაშრომი ნაწილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისა „ზღაპარი და მუსიკა: ქართული ნარატიული და მუსიკალურ-სასცენო ჟანრების ინტერმედიალური შესწავლა“ [FR-23-2808].

„ხალხური ზღაპარი“ ნარატიულ ფორმას გულისხმობს, „ზღაპარი“ კი ლიტერატურულ საავტორო ტექსტს.² სხვადასხვა მედია ზღაპრის სხვადასხვა რეცეფციას სთავაზობს საზოგადოებას მის თანამედროვე სოციოკულტურულ გარემოში (Haase, 2008: xxxvii). ზღაპარს მრავალმხრივი პოტენციალი აქვს ინტერპრეტაციისთვის. ის მარტო ზეპირი და ლიტერატურული გზით არ გადაეცემა, არამედ ილუსტრაციის, რეკლამის, კომიქსის, გრაფიკის, ტელევიზიის და ინტერნეტის ჰიპერტექსტის მეშვეობით (Bacchilega, 1997; Greenhill, 2010).

როცა ზღაპარი მედიის რომელიმე ფორმით ჩნდება, აუცილებლად ვიგრძნობთ მთხრობელის, შემკრების, გამომცემლისა თუ მთარგმნელის გავლენას. ეკრანიზებული ზღაპარიც, თავისთავად, უკვე აღარ არის ავთენტური ტექსტი, მაგრამ ზღაპრის ნებისმიერი ტრანსფორმაციისას მნიშვნელოვანია მისი ხალხური წარმოშობა.

თუ ფოლკლორულ ტექსტს ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის მიხედვით განვიხილავთ, ხელთ მხატვრული ტექსტი შეგვრჩება. თუმცა ფოლკლორული ტექსტის ჩაწერისას ყოველთვის არის საშიშროება, ზეპირი გადმოცემის სპეციფიკა დაიკარგოს. თუ ფოლკლორულ ტექსტს წავიკითხავთ, როგორც კულტურულ ტექსტს, მაშინ სიმბოლოები და იდეოლოგიური „გზავნილები“ ამოუწურავია. მაგალითად, ზღაპრებს ავ დედინაცვალზე და ბოროტ მშობლებზე უამრავი განმარტება შეიძლება გაუკეთდეს - დაწყებული მითოლოგიური რაკურსიდან დამთავრებული ფსიქოთერაპიაში გამოყენებით. სოციოკულტურულ ასპექტში კი ეს ზღაპრული პერსონაჟი მარტო სასტიკ მშობლად კი არ წარმოგვიდგება, არამედ უცხო კულტურის სიმბოლურ მნიშვნელობასაც მიიღებს, აჩვენებს საკუთარ (ბავშვურ) და უცხო (მოზრდილის) სამყაროთა შორის განსხვავებას, მათი საერთო ჰორიზონტის სხვადასხვაობას. ამ ინტერპრეტაციებს ფონად ოჯახური ურთიერთობები და სოციალიზაცია გასდევს.

² ხალხური ზღაპარი არა მხოლოდ ჯადოსნური ელემენტებისგან შემდგარი სიუჟეტია, არამედ უფრო ფართო ტერმინოლოგიური დატვირთვა აქვს - ხალხური ზღაპრის ჟანრი ფართო გაგებით მოიცავს ცხოველთა ეპოსს, ეტიოლოგიურ გადმოცემებს, იგავ-არაკებს, მორალისტურ ამბებს, ანექდოტებს, ლეგენდებს და შერეულ ფორმებს, მაგალითად, იუმორისტულ ამბებს სხვადასხვა სოციალურ, რელიგიურ, გენდერულ თემაზე და ა.შ.

ხალხური ზღაპრის ნარატიული სტრუქტურა სხვადასხვა ინტერპრეტაციისა და სპეკულაციის საგანი შეიძლება გახდეს. ყოველი ზღაპრის ადაპტაციას მკვლევრები იმ მიზნით აკვირდებიან, რომ განმარტონ, ახსნან ურთიერთობის დინამიკა ზღაპრის ტექსტუალურ დამუშავებასა და მის ვიზუალიზაციას შორის.

ზღაპრის ჯადოსნურობა - ჟანრის განმსაზღვრელად ეს სიტყვა მხოლოდ მაშინ იძენს მნიშვნელობას, როცა ხალხური მოთხრობის სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ მთავარი კონფლიქტი საბოლოოდ გმირის სასიკეთოდ შემოტრიალდეს. აქ შემდეგი მექანიზმი მუშაობს: ზღაპრის ჯადოსნურობა თავისთავადია და მაყურებელი ელოდება კეთილ დასასრულს. ზღაპრის ინტერპრეტაცია სხვადასხვა მედიის შემთხვევაში სხვადასხვაგვარია: კინოზღაპარი განსხვავდება იმავე სიუჟეტზე გადაღებული რომანტიკული კომედიისგან ან ტელესერიალისგან. თუ ზღაპრის რეალისტურ თემას და დაუჯერებელ სასწაულს ერთმანეთს შევადარებთ, ჯადოსნური ზღაპარი სწორედამაღალიან „პატიოსნად“ იქცევა. ტრივიალური მოთხრობები ტელესერიალებში ცხოვრებისეულს ჰგავს, სირთულეები თითქოს რეალისტურად არის დაძლეული, მაგრამ ეს მოჩვენებითია. შეიძლება დამაჯერებლად იყოს მოთხრობილი, რომ ექიმი შემწედ ევლინება გმირს ან პრინცს ცოლად სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოჰყავდეს, მაგრამ მაყურებელმა იცის, რომ ეს ყველაფერი ილუზიურია. კინოზღაპრებში კი სასწაული ისეა ასახული, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. კინოზღაპარი მაყურებელს ილუზიებს არ უქმნის, ის სხვა სამყაროს აჩვენებს.

ზღაპრის ეკრანიზაცია უფრო დაზუსტებით რომ აღვწეროთ, ამ ორ კითხვას ვუპასუხოთ:

1) ზღაპრის რომელი ნიშანია ისეთი არსებითი, რომ მედიას (კინოს, ტელევიზიას, თეატრს) აინტერესებს მისი ინტერპრეტაცია?

2) ზღაპრის რომელ კომპონენტს - სტილისტურს თუ შინაარსობრივს - სჭირდება მედიის დახმარება, უფრო გამომსახველი რომ გახდეს?

მხატვრულ ფილმს აქვს ის უპირატესობა, რომ გადმოსცეს ფანტასტიკური სიუჟეტი. ლიტერატურის ეკრანიზაცია წიგნის ფილმად გადაკეთებას ნიშნავს, ხალხური მოთხრობის ეკრანიზაცია კი პერფორმანსს უნდა შევადაროთ. ზღაპარს

თხრობის ახალი კონტექსტი უჩნდება: პოპულარული ისტორია ადრე გადაიცემოდა ზეპირი გზით, ახლა - მედიის საშუალებით. აქ თავს იჩენს რიგი თავისებურებებისა, რომლებიც ლიტერატურული ნაწარმოებისთვის და კინოზღაპრისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. კინოზღაპარი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლიტერატურის ეკრანიზაციის განშტოება.

წარმოსახვის უნარი, რაც კითხვის პროცესს ახლავს, ფილმის ყურებისას ნაწილობრივ შეზღუდულია, მაგრამ ეს ფანტაზიის დაქვეითებას არ ნიშნავს. ის უბრალოდ სხვაგვარად მუშაობს - ვიზუალურად. სურათებს ისევე შეუძლია სიმბოლოებით კოდირება, როგორც ცნებებით აზროვნებას. როცა სიტყვა, ხმა და მუსიკა ერთადაა, ყველა გამოხატვის ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება. როცა მოქმედება კამერის წინ ხდება, გადაღების დროს ჩართულია მოქმედი პირი, კოსტიუმი, რეკვიზიტი და ფონი. კინომცოდნეობის ტერმინოლოგიით, ფილმს, როგორც ხელოვნების ნიმუშს, მდიდარი და მრავალშრიანი ენობრივი სისტემა აქვს (Schmitt, 2000: 5).

ფოლკლორისტიკა ზღაპარს კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში ხედავს, მაგრამ როცა საქმე ზღაპრის ეკრანიზაციას ეხება, აქ სიმბოლოთა მნიშვნელობების არეალი იზრდება. ზღაპრის ფილმად გადაკეთებისას ფოლკლორისტს შეიძლება კრიტიკული შენიშვნები ჰქონდეს, რადგან ზღაპარი ზუსტად არ არის გადმოცემული და ჟანრის განმსაზღვრელი კრიტერიუმები დარღვეულია. აქ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ სიტყვიერი ტექსტისთვის დადგენილი ჟანრის კრიტერიუმი არ გამოდგება ფილმის ტექსტთან. ფილმის ტექსტი სრულიად სხვა გამომსახველობით მასალას იყენებს: სურათი, სიტყვიერი ენა, ხმა და მუსიკა, რომლებიც ქმნიან ფილმს (Schmitt, 2000: 11).

პასუხი კითხვაზე, ზღაპრის რომელი ნიშანია ისეთი არსებითი, რომ კინოს აინტერესებს, ზღაპრის სიღრმის სტრუქტურაში უნდა ვეძიოთ. ზღაპრის სტრუქტურა შეიცავს სიუჟეტსა და იდეას, რაც ერთი მედიუმიდან სხვაში ტრანსფორმირებისას გამომსახველობის ახალ ფორმას იძენს. ფილმში საჭიროა ზღაპრის სიუჟეტის გავრცობა. ჩვეულებრივ, ხალხური ზღაპრის თხრობა უბრალოა და მოკლედ აღწერს მოქმედებებს. დრამატურგიული და ინტერპრეტაციული

საჭიროებებიდან გამომდინარე, ზღაპრის ეკრანიზაციისას შემოდინან დამატებითი პერსონაჟები, დიალოგები, გარეგნობა, ტანსაცმელი, ხასიათი - ყველაფერი ის, რაც ზღაპრის თხრობისას არ იყო ნაჩვენები. როგორ გამოიყურება, როგორ მოძრაობს, რა პირობებში ცხოვრობს გმირი - ერთი სიტყვით, დრამატურგსა და რეჟისორს ბევრი საქმე აქვს ხალხური ტექსტის გაცოცხლებისას. ზღაპრისა და მისი ეკრანიზაციის საერთო ნიშანი არის სამართლიანობის და სიკეთის გამარჯვება, ერთი შეხედვით გულუბრყვილო მორალი, მაგრამ ფუნდამენტური იდეა, რაც ზღაპარს ნებისმიერ მედიალურ ფორმაში გადასვლისთვის სასურველს ხდის.

ეკრანიზაციისას ზღაპარში დამატებული მეორეხარისხოვანი პერსონაჟები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: როგორც მოსაუბრე პარტნიორები მარტო მოსიარულე გმირისთვის, რომელთაც შეუძლიათ გმირის გამხნეება, კომიკური ფიგურები და, რაც მთავარია, ცხოველები, რომლებიც ნახატი ფილმის ისტორიაში უოლტ დისნეის შემოქმედებით თავისებურებად იქცნენ. კინოს გამომსახველობითი საშუალებები ზღაპრის ეკრანულ სიცოცხლეს ახალ ხიბლს ანიჭებენ.

ზეპირი ტრადიციისთვის დამახასიათებელია ზღაპრის მოკლედ თხრობა. მთხრობელის ოსტატობა განპირობებულია წინასწარ შემუშავებული, მზა ფორმულებით და იმპროვიზაციის უნარით. ფორმულებად წარმოდგენილი განმეორებები ზეპირსიტყვიერების შემნახავ ფუნქციას ასრულებენ და პერფორმანსში განწყობას ქმნიან მსმენელისთვის. წიგნში ან ფილმში მოსაწყენია ერთი და იმავე სცენის სამჯერ ნახვა. მწერლისა და რეჟისორის ენობრივი კომპეტენცია განსხვავდება მთხრობლის ნარატიული პრინციპებისგან. ამიტომ, ზღაპრის ეკრანიზაცია მით უფრო წარმატებულია, რაც მეტად დაშორდება ხალხური თხრობის სტილს. როცა ზღაპარი კინოდ იქცევა, ის უფრო კინოა, ვიდრე ზღაპარი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ზღაპრის ეკრანიზაციისა არის ისტორიული კონკრეტიზაცია. ზღაპარში დრო-სივრცე აბსტრაქტულია. რადგანაც ზღაპრის მოქმედება არ ხდება ჩვენს სინამდვილეში, ამიტომ გმირი თავისუფლად მოძრაობს არარეალური სამყაროდან რეალურში. ზღაპარში არ გვხვდება

ტოპონიმები. მას არ სჭირდება კონკრეტული ადგილის სახელის დაზუსტება. ზღაპარი ზღაპრულ ქვეყანაში ხდება. დროისა და სივრცის უქონლობა ზღაპარში ადვილად შეიძლება შეიცვალოს ეკრანიზაციისას, მაგრამ თუ კონკრეტულ ისტორიულ დროში წარმართება მოქმედება, მაშინ ზღაპრის პირობითობა დაიკარგება და ჩვეულებრივ ამბად იქცევა.

მეოცე საუკუნის მიწურულის ზღაპრის ეკრანიზაციების მახასიათებლებია: პოსტმოდერნული პოეტიკა, კულტურული ღირებულებები, სოციალური და გენდერული პრობლემატიკა. კინოზღაპრის გადაღების პრინციპები არ არის ცენტრალიზებული, არ არის მიჯაჭვული ამა თუ იმ ისტორიულ ტრადიციას.

ზღაპრის ეკრანული ინტერპრეტაცია შეიძლება მისდევდეს თხრობით სტილს, როგორც ხალხური ზღაპრის პერფორმანსი. ასეთ კინოზღაპრებს იღებდნენ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მაგალითად: „ცისკარა“ (რეჟისორი: სერგო ჭელიძე, სცენარი: კოტე მიქაბერიძე 1955), „Tom Thumb“ („ცეროდენა“ რეჟისორი: George Pal, 1958, დიდი ბრიტანეთი), „Princ a Večernice“ („უფლისწული და ღამის ვარსკვლავი“ რეჟისორი: Václav Vorlíček, 1979, ჩეხოსლოვაკია), „Hans im Glück“ („ბედნიერი ჰანსი“. რეჟისორი: Christian Theede, 2015, გერმანია), „Vom Fischer und seiner Frau“ („მეთევზე და მისი ცოლი“ რეჟისორი: Christian Theede, 2013, გერმანია), „Die Gänsemagd“ („ბატების მწყემსი“ რეჟისორი: Sybille Tafel, 2009, გერმანია). სათავგადასავლო კომედიის ჟანრშია გადაწყვეტილი „The Princess Bride“ („პრინცესა საცოლე“ რეჟისორი: Rob Reiner, 1987, აშშ). ისტორიულ დროშია გადატანილი მოქმედება კონკიას ზღაპრის ინტერპრეტაციებში, როგორცაა ჩეხურ-გერმანული საკულტო ფილმი „Tři oříšky pro Popelku“ („სამი კაკალი კონკიასათვის“ რეჟისორი: Václav Vorlíček, 1973) და „Ever After“ („დიდხანს და ბედნიერად“ რეჟისორი: Andi Tennant, 1998, აშშ). ისტორიულ დროში მოქმედების წარმართვა და რომანტიკული სიყვარულის ისტორია ხალხური ზღაპრის ეკრანზე გაცოცხლებისთვის წარმატებული ცდა აღმოჩნდა. ძმებ გრიმების ზღაპარი „შაშვიწვერა ხელმწიფე“ არაერთგზის გადაიღეს გერმანელმა და ჩეხმა რეჟისორებმა: „König Drosselbart“ (Herbert B. Fredersdorf 1954; Fritz Genschow 1962; Walter Beck 1965; Horst Hawemann 1972; Miroslav Luther, 1984; Sybille Tafel, 2008).

ოცდამეერთე საუკუნის კინოზღაპრების გადაღებისთვის განსაკუთრებული სიუხვით გამოიყენეს სპეციალურ ეფექტები და მრავალფეროვანი სასცენო საშუალებები, როგორც ფილმებში „Cinderella“ („კონკია“, რეჟისორი: Kenneth Branagh, 2015, აშშ) და „Beauty and the Beast“ („ლამაზმანი და ურჩხული“, რეჟისორი: Bill Condon, 2017, აშშ).

ჟანრისა და პერსონაჟთა პაროდის საუკეთესო მაგალითია შრეკის თემაზე შექმნილი რამდენიმე ფილმი (რეჟისორები: Andrew Adamson, Vicky Jensen, 2001, 2004, 2010 აშშ). სამეცნიერო-ფანტასტიკის ელემენტების შემცველია „Enchanted“ („მოჯადოებული“ რეჟისორი: Kevin Lima, 2007, აშშ). უკანასკნელ ხანებში გადაღებული მაღალბიუჯეტის კინოზღაპრებია „Snow White“ („ფიფქია“, რეჟისორი: Mark Webb, 2025, აშშ), Aladdin („ალადინი“, რეჟისორი: Guy Ritchie, 2019, აშშ).

ხალხური ზღაპარი, როგორც ჟანრი, კომპოზიციური მთლიანობით და თხრობის სადა სტილით გამოირჩევა. ამდენად, მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ამოუწურავია ყველა მიმართულებით, სიუჟეტურად, მსოფლმხედველობრივად, ექსპერიმენტებისთვის, თერაპიისთვის და ა. შ. ერთსა და იმავე მოტივზე და მოქმედ პირზე მუდმივად შეიძლება ახალი ისტორიის შექმნა.

კინოზღაპრის უპირველესი მახასიათებელია ჯადოსნურობა. მიუხედავად იმისა, რომ ჯადოსნური ელემენტი ძირითადი კონფლიქტის გადაჭრას ემსახურება საბოლოო ჯამში, მთავარია შემოტრიალება, რომელიც ტრაგიკულობას ბედნიერებად გადააქცევს. სწორედ ეს მოლოდინია ბედნიერი დასასრულის გარანტი.

ზღაპარს აქვს მყარი კომპოზიცია თავისი სტრუქტურული ნიშნებით, ფორმითა და შინაარსით. როცა ზღაპარი რომელიმე მედიის საშუალებით არის მოთხრობილი, მაშინ მედიის გამომსახველობითი საშუალებები იწვევს წინა პლანზე და მაყურებელიც სპეციალურ ეფექტებს პრიორიტეტულად აღიქვამს, თუმცა ზღაპრის სქემა არსად ქრება. თუ ერთი მედია მეორეში ტრანსფორმირდება,

არც ამით დაირღვევა ზღაპრის მყარი სტრუქტურა. უფრო მეტიც, ახალ მედიასთან ერთად ახალ ინტერპრეტაციათა გზა გამოჩნდება.

ლიტერატურა:

Bacchilega, C. (1997) *Postmodern Fairy Tales: Gender and Narrative Strategies*.

Philadelphia: University of Pennsylvania Press, 1997.

Greenhill, P., Matrix, S. E. (eds.). (2010) *Fairy Tale Films: Visions of Ambiguity*. University

Press of Colorado; Utah State University Press.

Haase, D. (2008) *The Greenwood Encyclopedia of Folktales and Fairy Tales*, Vol. 1–3.

Edited by Donald Haase. Greenwood Press.

Schmitt, C. (2000) *Medien erzählen Märchen. Mündliches und Mediales Erzählen. Klischees*

zum Phänomen filmischer Märchenbearbeitung. Baltmannsweiler: Schneider.